

სასწავლო კურსის დასახელება	ადამიანის ანატომია I	I სემესტრი
კურსის განმახორციელებლები	მინდია ბუცხრიკიძე	
კრედიტი ECTS -ის მიხედვით	7 კრედიტი	
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	არ აქვს	
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა ადამიანის ორგანიზმის სისტემების და ორგანოების აგებულების შესახებ მათ ფუნქციასთან, ზრდა-განვითარებასთან და გარემოს ზემოქმედებასთან კავშირში, ასაკობრივი, სქესობრივი და ინდივიდუალური თავისებურებათა გათვალისწინებით. სტუდენტმა პასუხი უნდა გასცეს არა მარტო შეკითხვას „როგორ არის მოწყობილი ადამიანის ორგანიზმი?“, არამედ კითხვასაც „რატომ არის იგი ასე აგებული“. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ორგანოს ანატომიური თავისებურებანი განხილულ იქნება ფუნქციასთან კავშირში. ამ პრინციპზე დამყარებული თეორიული ცოდნა დაეხმარება მომავალ ექიმს სხვადასხვა დაავადების მექანიზმების სწორად ახსნასა და შესაბამის მკურნალობაში. სტუდენტმა უნდა მიიღოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა: საყრდენ მამოძრავებელი სისტემის შესახებ, მიეცეს საშუალება ქართულად და ლათინურად შეისწავლოს ოსტეოლოგია, ართროლოგია, მიოლოგია.	
რეკომენდირებული ლიტერატურა	ზურაბ კაციტაძის ადამიანის ნორმალური ანატომია (2011წ)	

სასწავლო კურსის დასახელება	ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია	I სემესტრი
კურსის განმახორციელებლები	ანა ციციშვილი	
კრედიტი ECTS -ის მიხედვით	7 კრედიტი	
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	არ აქვს	
სასწავლო კურსის მიზანი	კურსის მიზანია მიაწოდოს სტუდენტებს ცოდნა მორფოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის, მეთოდოლოგიის და მიკროსკოპის თეორიის შესახებ. ასევე შეასწავლოს უჯრედის სტრუქტურა და ფუნქციები, თანამედროვე თეორიული დებულებებიდან გამომდინარე, განიხილოს ორგანოების სტრუქტურა, აგებულება და ფუნქციები, ბირთვის სტრუქტურა, ცილის სინთეზის საფუძვლები, უჯრედული და მოლეკულური	
რეკომენდირებული ლიტერატურა		

	საფუძვლები.	
<b>რეკომენდირებული ლიტერატურა</b>	რ. რუხაძე – ჰისტოლოგია, 2003; 2009	

<b>სასწავლო კურსის დასახელება</b>	<b>ზოგადი გენეტიკა</b>	<b>1 სემესტრი</b>
<b>კურსის განმახორციელებლები</b>	გიორგი კანდელაკი,	
<b>კრედიტი ECTS -ის მიხედვით</b>	5 კრედიტი	
<b>სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები</b>	არ აქვს	
<b>სასწავლო კურსის მიზანი</b>	წინამდებარე კურსის მიზანია გააცნოს და შეასწავლოს სტუდენტებს მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებები. გამომდინარე აქედან, სასწავლო კურსის ფარგლებში განხილული იქნება სიცოცხლის ორგანიზაციის მოლეკულურ-გენეტიკური დონე. ე.ი. სტუდენტები შეისწავლიან მემკვიდრეობის მატერიალურ საფუძვლებს და იმ ფაქტორებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ ცვალებადობას	
<b>რეკომენდირებული ლიტერატურა</b>	ზოგადი გენეტიკა (ა.შათირიშვილი, ნ.დვალიშვილი),	

<b>სასწავლო კურსის დასახელება</b>	<b>სამედიცინო ქიმია</b>	<b>1 სემესტრი</b>
<b>კურსის განმახორციელებლები</b>	ვახტანგ შარიქაძე	
<b>კრედიტი ECTS -ის მიხედვით</b>	4 კრედიტი	
<b>სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები</b>	არ აქვს	
<b>სასწავლო კურსის მიზანი</b>	კურსის მიზანია სტუდენტების მიერ იმ ქიმიური კანონების და თეორიების შესწავლა, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე მეცნიერული მიღწევების საფუძველზე დაფუძნებულ კანონზომიერებებს და ხელს შეუწყობს მათი საშუალებით შემდგომში სხვა დისციპლინების (ბიოქიმია, დიაგნოსტიკა, მოლეკულური ბიოლოგია) უკეთესად ათვისებას.	
<b>რეკომენდირებული ლიტერატურა</b>	რ.კლდიაშვილი, ხ. დიდიძე “ბიოარაორგანულიქიმია”	

სასწავლო კურსის დასახელება	საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაზისო კურსი	I სემესტრი
კურსის განმახორციელებლები	ვასილ ჩინაშვილი	
კრედიტი ECTS -ის მიხედვით	2 კრედიტი	
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	არ აქვს	
სასწავლო კურსის მიზანი	თანამედროვე მედიცინა წარმოდგენელია საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების გარეშე. მედიცინის მუშაკს უნდა შეეძლოს მოიპოვოს მისთვის ღირებული სარწმუნო ინფორმაცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ექიმი უნდა ფლობდეს საოფისე პროგრამებს, შეეძლოს ინერნეტით სარგებლობა. აქედან გამომდინარე სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები, ოპერატიული სისტემის Windows 10-ის და საოფისე პროგრამების MS Word 2013-ის და MS PowerPoint 2013-ის გამოყენება	
რეკომენდირებული ლიტერატურა	1. ს. რაზმაძე Microsoft Windows 7 თბილისი 2007 2. ს. რაზმაძე Microsoft WORD მეორე გამოცემა, თბილისი 2007	

სასწავლო კურსის დასახელება	ინგლისური ენა 1	I სემესტრი
კურსის განმახორციელებლები	ემილია ალავერდოვა	
კრედიტი ECTS -ის მიხედვით	5 კრედიტი	
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	არ აქვს	
სასწავლო კურსის მიზანი	კურსის მიზანია , რომ სტუდენტს ქონდეს ათვისებული B2/ I დონის შესაბამისი ლექსიკა აქტიურ მარაგში, შეიძინოს შესაბამისი გრამატიკული ბაზისი და შეეძლოს სტანდარტულ სიტუაციებში კომუნიკაცია. ასევე, შეეჩვიოს ელემენტარული სამედიცინო ტერმინოლოგიის სასაუბრო მიზნით გამოყენებას.	
რეკომენდირებული ლიტერატურა	New Success at First Certificate, Robert O'Neill, Michael Duckworth & Kathy Gude .Oxford University Press	

სასწავლო კურსის დასახელება	ადამიანის ანატომია II	II სემესტრი
კურსის განმახორციელებლები	მინდია ბუცხრიკიძე	

კრედიტი ECTS -ის მიხედვით	7 კრედიტი	
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	ადამიანის ანატომია I	
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა ადამიანის ორგანიზმის სისტემების და ორგანოების აგებულების შესახებ მათ ფუნქციასთან, ზრდა-განვითარებასთან და გარემოს ზემოქმედებასთან კავშირში, ასაკობრივი, სქესობრივი და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით. სტუდენტი მიიღებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას: საჭმლის მომნელებელი, სასუნთქი, გამომყოფი, გამრავლების, ენდოკრინული სისტემების შესახებ, შეისწავლის სმენა, წონასწორობის და მხედველობის ორგანოს ანატომიურას, გულის აგებულებას, კვებას და ინერვაციას.	
რეკომენდირებული ლიტერატურა	ზურაბ კაციტაძის ადამიანის ნორმალური ანატომია	

სასწავლო კურსის დასახელება	კერძო ჰისტოლოგია	II სემესტრი II
კურსის განმახორციელებლები	ანა ციციშვილი	
კრედიტი ECTS -ის მიხედვით	6 კრედიტი	
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია	
სასწავლო კურსის მიზანი	კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს ორგანოთა ჰისტოლოგიის, ჰისტოფიზიოლოგიის, ფუნქციის სტრუქტურულიზაციის პრინციპი, თითოეული სისტემისთვის დამახასიათებელი მოლეკულური მარკერები.	
რეკომენდირებული ლიტერატურა	რ. რუხაძე – ჰისტოლოგია, 2003; 2009.	

სასწავლო კურსის დასახელება	შესავალი ბიოქიმიაში	II სემესტრი II
კურსის განმახორციელებლები	ვახტანგ შარიქაძე	
კრედიტი ECTS -ის მიხედვით	5 კრედიტი	
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	არ აქვს	

<p><b>სასწავლო კურსის მიზანი</b></p>	<p>კურსის მიზანია თანამედროვე მეცნიერული მიღწევების საფუძველზე მიღებული ცოდნა განავრცონ და გამოიყენონ იმ პროცესებისა და ცვლილებების ასახსნელად, რომლებიც მიმდინარეობენ ცოცხალ ორგანიზმში, ორგანიზმის როგორც ნორმალური, ისე პათოლოგიური მდგომარეობის დროს. ნაჩვენებია ის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რომელიც არსებობს ქიმიურ მოვლენებს, კანონზომიერებებს და ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენის, ჰიდროლიზის, ფიზიოლოგიურ, მეტაბოლიტურ და სხვა პროცესებს შორის, ატომის ელექტრონული აღნაგობის თეორიიდან დაწყებული და ბიოგენური სასიცოცხლო აუცილებელი ელემენტების ჩათვლით. გამომდინარე აქედან, კურსის ძირითადი მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა ცოცხალი სისტემის ფუნქციონირების მოლეკულურ საფუძველზე.</p>	
<p><b>რეკომენდირებული ლიტერატურა</b></p>	<p>1. რ.კლდიაშვილი, ხ. დიდიძე “ბიოარაორგანულიქიმია” 2010; 2. რ.კლდიაშვილი, ხ. დიდიძე “ბიოორგანულიქიმია” 2011 .</p>	

<p><b>სასწავლო კურსის დასახელება</b></p>	<p><b>სამედიცინო ბიოლოგია</b></p>	<p>III სემესტრი</p>
<p><b>კურსის განმახორციელებლები</b></p>	<p>გიორგი კანდელაკი</p>	
<p><b>კრედიტი ECTS -ის მიხედვით</b></p>	<p>4 კრედიტი</p>	
<p><b>სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები</b></p>	<p>არ აქვს</p>	
<p><b>სასწავლო კურსის მიზანი</b></p>	<p>კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ის ზოგად ბიოლოგიური კანონზომიერებები, რომლებიც ვლინდება ცოცხალი ორგანიზმების მოლეკულურ-გენეტიკურ, უჯრედულ, ონტოგენეზურ, პოპულაციურ-სახეობრივ და ეკოსისტემურ დონეებზე. კონკრეტულად, აღნიშნულ კანონზომიერებებში გარკვევა სტუდენტს შეუქმნის საფუძველს ღრმად გაერკვეს გენეტიკური და ინვაზიური აგენტებით გამოწვეული პათოლოგიების ბიოლოგიურ ასპექტებში. გარდა ამისა, სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ ცოდნა თუ რა ღონისძებების გატარებაა საჭირო გენეტიკური და ინვაზიური დაავადებების პროფილაქტიკისათვის. სამედიცინო ბიოლოგიის სასწავლო კურსის ათვისება სტუდენტებს შეუქმნის საფუძველს წარმატებით დაეუფლონ ზოგად და კერძო ბიოქიმიასა და მიკრო-ბიოლოგიას.</p>	
<p><b>რეკომენდირებული ლიტერატურა</b></p>	<p>1. ზოგადი ბიოლოგია (ა.შათირიშვილი, ს.ცაგარელი, მ.ცარციძე), 1999; 2. ადამიანის პროტოზოებით გამოწვეული დაავადებები საქართველოში, კრებული XXXV (რედ. გ.ჭუბაბრია, ლ.ზირაქიშვილი, ო.ზენაიშვილი), 2005; 3. ადამიანის ადგილობრივი და შემოტანილი ჰელმინთოზები საქართველოში, კრებული XXXIV (რედ. გ.ჭუბაბრია,</p>	

	ო.ზენაიშვილი), 2005; 4. პარაზიტოლოგიის მოკლე კურსი (ბ.ყურაშვილი), 1996 წ.	
--	--	--

სასწავლო კურსის დასახელება	კვლევის წარმოების მეთოდოლოგია	II სემესტრი
კურსის განმახორციელებლები	გიორგი კანდელაკი	
კრედიტი ECTS -ის მიხედვით	2 კრედიტი	
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	არ აქვს	
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს სამეცნიერო კვლევისადმი ინტერესი და ჩამოუყალიბოს კვლევის წარმოების უნარი. სტუდენტმა უნდა ათვისოს თუ როგორ ხორციელდება კვლევის დაგეგმვა, ლიტერატურის ძიება, ექსპერიმენტის ჩატარება, კვლევის შედეგების დამუშავება და ნაშრომის გაფორმება.	
რეკომენდირებული ლიტერატურა	ა.ციბაძე, ლ.ხუციშვილი – ინფორმაციის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები მედიცინაში. 2007 წ.	

სასწავლო კურსის დასახელება	ბიოეთიკა	II სემესტრი
კურსის განმახორციელებლები	ელისაბედ გიორგაძე,	
კრედიტი ECTS -ის მიხედვით	2 კრედიტი	
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	არ აქვს	
სასწავლო კურსის მიზანი	კურსის მიზანია სტუდენტების მიერ ეთიკური თეორიების, წესების, პრინციპების ათვისება; შემთხვევისადმი კომპლექსური, ლოგიკური და სისტემური მიდგომა მორალური გადაწყვეტილებების მისაღებად. საექიმო ეთიკის კოდექსის, ჯანმრთელობის სფეროს კანონების, საზოგადოების მორალური სტანდარტების და ინდივიდის ღირებულებების მნიშვნელობისა და მათი გავლენის ცოდნა პრობლემების, დილემების გადაწყვეტისას. საკითხის გადაწყვეტისას რელიგიის, ფილოსოფიის, კანონმდებლობის გამოყენება	
რეკომენდირებული ლიტერატურა	ბიოეთიკა, ბ.მამულაშვილი, 2005წ.	

სასწავლო კურსის დასახელება	უცხო ენა II	II სემესტრი
კურსის განმარტებლებები	ემილია ალავერდოვა	
კრედიტი ECTS -ის მიხედვით	4 კრედიტი	
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	უცხო ენა I	
სასწავლო კურსის მიზანი	კურსის მიზანია სტუდენტთა მიერ შესწავლილ იქნეს ინგლისური ენა, როგორც ადამიანურ და პროფესიულ დონეზე კომუნიკაციის საყოველთაოდ აღიარებული საშუალება; შეეჩვიოს ელემენტარული სამედიცინო ტერმინოლოგიის სასაუბრო მიზნით გამოყენებას.	
რეკომენდირებული ლიტერატურა	New Success at First Certificate, Robert O'Neill, Michael Duckworth & Kathy Gude Oxford University Press	